პროექტი

საქართველოს კანონი
"ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N20, 04.05.2005, მუხლი 143) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-12 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. საჯარო სკოლის შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, განიხილავს სასამართლო საქართველოს შრომის კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით."

2. 26–ე მუხლის:
ა) პირველი პუნქტის „ო" ქვეპუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ო) ატარებს საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევ კონკურსს;"

3. 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ" ქვეპუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„შ) ადგენს საჯარო სკოლის დირექტორისა და მასწავლებლის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესს, სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევისა და მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტის წესსა და პირობებს."

4. 29–ე მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„კ) ატარებს საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევ კონკურსს";

5. 42-ე მუხლის მე-2 პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2.სამეურვეო საბჭო კონკურსგავლილი დირექტორობის კანდიდატებიდან, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი პროგრამის საფუძველზე, ირჩევს დირექტორს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე. "

6.კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 63 ¹ მუხლი:
„მუხლი 63 ¹

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი